საქართველოს მთავრობის

დადგენილება №360

2015 წლის 20 ივლისი

ქ. თბილისი

სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციისა და „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. სსიპ – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მიენიჭოს კორნელი კეკელიძის სახელი და განხორციელდეს მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია.

2. სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჩაითვალოს სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლედ.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები დასრულდეს 2015 წლის 1 ნოემბრამდე.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებაში (სსმ, №35, 17/03/2006, 040.030.000.10.003.000.441) და დადგენილების 34-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„34. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**